22A 22B

Ⴜ~ა Ⴂრიგოლ Ⴖმრთისმეტყველი

ႠႶႣႢႭႫႨႱႠႧႣႱ*

ႣႠ ႣႠႷႭႥႬႤႡႨႱႠႧႣႱ ႫႨႱႨႱႠ ႮႭႬႲႭႱ, ႰႠႫႤႧႭႳ ႫႠႱ ႣႶႤႱႠ ႫႭႥႨႣႠ ႫႨႤႰ ႣႠ ႫႨႳႧႾႰႠ ႤႱႤ ႤႰႱႠ, ႩႣႰႨႤႪႤႨႱႭႬ!

Ⴀღდგომისა დღჱ არს და დასაბამი ესე მარჯუენე, განვბრწყინდეთ უკუე კრებასა ამას და ურთიერთას ამბორს-უყოთ, «ვჰრქუათ ძმა მოძულეთაცა ჩუენთა»(ეს.66,5). Ⴀრა თუმცა მათ, რომელთა სიყუარულისათჳს რაჲმე ექმნას, ანუ თავს-ედვას; მიუტევოთ ყოველივე Ⴀღდგომასა, შეუნდოთ ყოველთა ურთიერთას, მეცა, მიმძლავრებულმან ამან კეთილითა მით მიმძლავრებითა, რამეთუ ამასცა აწ შევსძინებ, და თქუენცა, რომელთა კეთილად მაიძულეთ და მმძლავრეთ.

Ⴀკუეთუ რასმე მაბრალობთ დაყოვნებისათჳს, ნუუკუე უმჯობეს და უპატიოსნეს არს მრავალთა მოსწრაფებისა, რამეთუ კეთილ არს ჯმნაჲ Ⴖმრთისა მცირედ, ვითარცა «**Ⴋოსე** ქმნა „ძუელსა“ შინა»(გამს.4,13) და «**Ⴈერემია** უკუანაჲსკნელ»(იერ.1,6) და მისლვად რაჲ სრბით და მზად უწოდოს რაჲ, ვითარცა «**Ⴀჰრონ**»(გამს.4,27) და «**Ⴄსაია**»(ეს.6,8), ოდენ საღმრთოდმცა არს ორივე – ერთი იგი თჳსისა უძლურებისათჳს და მეორე ძალისა მისთჳს მწოდებელისა მის.

2. საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე განხილვად თავისა ჩემისა. საიდუმლოსაცა თანა შემოვალ და კეთილი მიპოვნიეს ჩემისა მოშიშებისა და უძლურებისა შემწედ დღჱ ესე, რაჲთა Ⴀომელი-იგი დღეს მკუდრეთით აღდგა, «მეცა განმაახლოს სულითა და ახალი იგი კაცი შემმოსოს»(ებრ.4,23-24) და ეგრე მიმცეს ახალსა მას დაბადებულსა, რომელ არიან «საღმრთოდ შობილნი»(იოხ.1,13) იგი მოქმედად კეთილად და «მოძღურად Ⴕრისტეს თანა და მკუდრად გულსმოდგინედ და მის თანა აღდგომილად»(რომ.6,8).

3. Ⴂუშინ Ⴒარიგი იგი დაიკლვოდა და იცხებოდეს წყირთლნი სისხლითა მისითა და იგლოვა **Ⴄგჳპტემან** პირმშოთა თჳსთათჳს. Ⴃა ჩუენ თანა-წარგუჴდა მომსრველი იგი და ბეჭედი იგი საშინელ და პატიოსან და დიდებულითა მით სისხლითა შევიზღუდენით. Ⴞოლო დღეს წმიდად განვერენით **Ⴄგჳპტისაგან** და ფარაოჲსგან, მეფისა მწარისა და მძიმეთა მათგან ზედამდგომელთა და თიჴისა მისგან და ალიზისა განვთავისუფლდით.

Ⴃა არღარა ვინ არს დამაყენებელ ჩუენდა დღესასწაულობად Ⴓფლისა Ⴖმრთისა ჩუენისა, დღესასწაულსა განსლვისასა და დღესასწაულობად «არა ცომითა ძუელისა უკეთურებისა და სიბოროტისაჲთა, არამედ უცომოჲთა სიწმიდისა და ჭეშმარიტებისაჲთა»(1კორ.5,8), რომელ არარაჲ გუაქუნდეს ჩუენ თანა **Ⴄგჳპტელებრი** ულმრთოებისა თბჱ.

4. Ⴂუშინ Ⴠუარს-ვეცუმოდე Ⴕრისტეს თანა, დღეს Ⴋის თანა-ვიდიდები, გუშინ Ⴋის თანამოვკუდებოდე, დღეს Ⴋის თანა ცხოველ ვიქმნები; გუშინ Ⴋის თანა-დავეფლვოდე, დღეს მის თანა-აღვდგები. Ⴀრამედ შევწიროთ ნაყოფი ჩუენთჳს მომკუდრისა Ⴋის და აღდგომილისა. Ⴌუუკუე ოქროსა ჰგონებთ, რომელ ვიტყჳ, გინა ვეცხლსა, ანუ ნაქსოვსა, გინა ქვათა ბრწყინვალეთა და პატიოსანთა, ნივთთა მათ ქუეყანისათა ქუედაშთომადთა, რომლისა უმეტესი მარადის აქუს უფროჲსად ბოროტთა და მონათა სოფლისა და სოფლისმპყრობელისათა.

Ⴞოლო შევწირნეთ თავნი თჳსნი პატიოსანნი – ესე მონაგები, Ⴖმრთისადა შემსგავსებული, მივსცეთ ხატსა მას მსგავსებაჲ.

Ⴅიცნათ თჳსი პატივი, პატივ-ვსცეთ Ⴎირმშოსა მას სახესა, გულისჴმა-ვყოთ საიდუმლოჲსა ამის ძალი და თუ რაჲსათჳს მოკუდა Ⴕრისტე.

5. Ⴅიქმნნეთ ვითარცა Ⴕრისტე, რამეთუ Ⴕრისტეცა იქმნა ვითარცა ჩუენ; ვიქმნნეთ Ⴋისთჳს Ⴖმერთ, რამეთუ Ⴈგიცა იქმნა ჩუენთჳს კაც. Ⴋიიღო უნდოჲ ესე ბუნებაჲ, რაჲთა მოგუცეს უაღრესი ყოველთაჲ; «დაგლახაკნა, რაჲთა ჩუენ Ⴋისითა სიგლახაკითა განვმდიდრდეთ»(2კორ.8,9); «მონისა ხატი მიიღო»(ფილპ.2,7), რაჲთა ჩუენ

---

* **Corpus christianorum, Series graeca 36, Leuven, 1998**. სიტყვა I, გვ. 2-16. თარგმანი წ~ა ექვთიმე მთაწმიდელისა.

აზნაურებაჲ მოვიღოთ; დამდაბლდა, რაჲთა ჩუენ აღვმაღლდეთ; გამოიცადა, რაჲთა ჩუენ ვსძლოთ; შეურაცხ-იქმნა, რაჲთა გუადიდნეს; მოკუდა, რაჲთა განგუაცხოველნეს; აღდგა, რაჲთა აღგუადგინნეს; ამაღლდა, რაჲთა მიგუზიდნეს თავისა Ⴓჳსისა მდებარენი ესე სიღრმეთა მათ შინა ცოდვისათა.

Ⴗოველსავე მისცემდინ კაცი, ყოველსავე შესწირევდინ Ⴋისა, «Ⴐომელმან მისცა თავი თჳსი საჴსრად ჩუენდა»(მთ.20,28) და სასყიდლად(მთ.16,26), ხოლო მისცემს ესევითარსა ვერარას, ვითარ თავსა Ⴓჳსსა, უკუეთუ გულისჴმაჰყოფდეს საიდუმლოჲსა ამის ძალსა. Ⴃა იქმნას მისთჳს ყოველი, რაჲ-იგი იქმნა ჩუენთჳს.

6. Ⴞოლო აწ წინა-გიყოფს თქუენ მწყემსსა, რამეთუ ამას ესავს და ითხოვს «კეთილი ესე Ⴋწყემსი, Ⴐომელი დასდებს სულსა Ⴓჳსსა ცხოვართათჳს»(იოზ.10,15) და ორკეცსა მარტივისათჳს მოგუცემს თავსა თჳსსა და «ჰყოფს კუერთხსა მას სიბერისასა»(ტობ.10,4) კუერთხად სულისა და შესძინებს უსულოსა მას ტაძარსა თანა სულიერსაცა; შუენიერსა მას თანა და ზეცისასა, ესევითარსა მას და რაზამსა, გარნა Ⴋის წინაშე პატიოსანსა და მასცა დიდითა შრომითა და ოფლითა შემზადებულსა, ხოლო არსმცა ღირსად შრომათა მათ, და ყოველსა თავისა Ⴓჳსისასა მოგცემს თქუენ.

Ⴄჰა სიკეთჱ სულისაჲ და უფროჲსად ვთქუა, თუ შვილისმოყუარებაჲ, რამეთუ განგიმზადებს და მოგცემს მჴცეთა მათ და სიჭაბუკესა და ტაძარსა და მღდელთმოძღუარსა და მკჳდრსა მისსა და სიტყუათა მათ, რომელნი გსუროდეს, არა ჰაერად განბნევადთა და სასმენელადმდე მიწევნულთა, «არამედ რომელთა წერს სული და ფიცართა მათ ზედა გამოჰსახავს ქვისათა, რომელ არიან გულისანი»(ეზ.36,26; 2კორ.3,2-3), არა თხელად და პირსა ზედა მსწრაფლ აღსაჴოცელად, არამედ სიღრმესა შინა გამოსახულად, არა მელნითა, არამედ Ⴋადლითა.

7. Ⴀმას ყოველსა იქმს თქუენთჳს მოხუცებული ესე **Ⴀბრაჰამ** მამამთავარი, პატიოსანი ესე სულითა, სამკჳდრებელი ყოველთა კეთილთაჲ, კანონი იგი სათნოებისაჲ, მღდელობისა სრულმყოფელი, რომელი ნებსითსა «მსხუერპლსა შესწირავს Ⴖმრთისა, ვითარცა პირველმან მან Ⴋხოლოდშობილი იგი აღთქუმით მიცემული»(გალ.3,16).

Ⴞოლო თქუენ შეწირეთ Ⴖმრთისა და ჩუენდა თავნი თქუენნი, რაჲთა კეთილად იქცეოდით სამწყსოსა მას შინა და «სძოვდეთ ადგილთა მწუანვილოვანთა და წყალთა ზედა განსასუენებელთა»(ფს.22,1) და იცნობდეთ კეთილად Ⴋწყემსსა მას და ცნობილ იყვენეთ Ⴋის მიერ და შეუდგეთ ჴმასა Ⴋისსა, გიჴმობდეს რაჲ მწყემსებრ კარით. «ხოლო უცხოსა არა შეუდგეთ»(იოზ.10,14,5) არა კარით მომავალსა, არამედ ავაზაკებრ ზედაჲთ შემომავალსა.

Ⴌუცა ისმენთ უცხოსა ჴმასა, რომელი წარგიპარვიდეს და განგაშორებდეს და გაცთუნებდეს ჭეშმარიტებისაგან მთათა შინა, კლდეთა და ჴევნებთა და ადგილთა, სადა «არა მიჰხედავს Ⴓფალი»(ეზ.34,5-6), და განგყოფდეს მართლისაგან სარწმუნოებისა Ⴋამისა და Ⴛისა და სულისა Ⴜმიდისა, Ⴄრთღმრთეებისა და ძალისა, რომლისა ჴმაჲ ესმა მას და ასმიესმცა ჩემთა მათ ცხოვართა.

Ⴞოლო სხუათა ბილწთა, განმრყუნელთა და განმყოფელთა ჭეშმარიტისა მისგან პირველისა Ⴋწყემსისა, ნუმცა ასმიეს, არამედ ვითარცა საძოვრისაგან სასიკუდინოჲსა, ესრეთმცა შორს ვართ ესევითარისაგან მწყემსნიცა და სამწყსონი და სიწმიდით ვმწყსიდეთცა და შეუდგეთ მწყემსსა, რაჲთა «ერთ ვიყვნეთ ყოველნი Ⴕრისტეს Ⴈესუჲს მიერ»(იოზ.17,21) აწ და მერმესა მას განსუენებასა, რამეთუ Ⴋისი არს დიდებაჲ და სიმტკიცჱ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.